



შენიშვნები და კომენტარები

შპს „ჯი თი ემ გრუპ“ მეტალურგიული (ფეროშენადნობთა) საწარმოს ექსპლუატაციის პირობის ცვლილების პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე

19 თებერვალი, 2026

წარმოგიდგენთ შენიშვნებს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე [გამოქვეყნებულ](#) შპს „ჯი თი ემ გრუპ“ მეტალურგიული (ფეროშენადნობთა) საწარმოს ექსპლუატაციის პირობის ცვლილების პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშზე.

1. საქმიანობის ცვლილება

ანგარიშში მითითებულია, რომ საქმიანობა განიხილება როგორც გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირობების შეცვლა და სკრინინგს დაქვემდებარებული საქმიანობა; თუმცა, არ არის წარმოდგენილი - რა კონკრეტული განსხვავებაა თავდაპირველ დამტკიცებულ პროექტსა და ახალ საქმიანობას შორის. კოდექსის შესაბამისად, აუცილებელია ცვლილებების ცალკე ანალიზი.

კერძოდ, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისა და საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ ანგარიშის შედგენის წესის მიხედვით, გზშ ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ექსპლუატაციის პირობის ცვლილების აღწერა არსებულ საქმიანობასთან შედარებით (მათ შორის, ცხრილის სახით)¹.

2. კუმულაციური ზემოქმედების შეფასება

გარემოსდაცვითი კოდექსის შესაბამისად, საჭიროა კუმულაციური ზემოქმედების ინტეგრირებული შეფასება. გზშ ანგარიშში კუმულაციური ზემოქმედება შეფასებულია მხოლოდ ცალკეულ ფაქტორებზე და არ არის განხილული სხვა მიმდებარე საწარმოების სრული სპექტრი, არ არის წარმოდგენილი ერთიანი სივრცითი ანალიზი. არ არის დეტალურად განხილული ჰაერის, სატრანსპორტო და სოციალური ზემოქმედებების კუმულაციური ეფექტი.

3. ნარჩენების მართვა

როგორც გზშ ანგარიშიდან ირკვევა, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 25.10.2022 წლის № DES 6 22 00000309 ბრძანების საფუძველზე, 2022 წლის 26 ოქტომბრიდან 9 ნოემბრის ჩათვლით განხორციელდა 2019 წლის 5 მაისის №2-462 ბრძანებით გაცემული

¹ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 24 სექტემბრის №417 დადგენილება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისა და საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ ანგარიშის შედგენის წესის დამტკიცების თაობაზე, ხელმისაწვდომია „საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე.

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (2012 წლის 27 თებერვლის №11 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის შემოწმება. შემოწმების შედეგად გამოვლინდა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების დარღვევები. გამოვლენილ დარღვევებზე კომპანიას გაეგზავნა N003191 ადმინისტრაციული მიწერილობა. მიწერილობის პირობების გადამოწმება განხორციელდა 2024 წლის 3 ოქტომბერს. შემოწმების მასალების თანახმად, კომპანიას არ ჩაეთვალა შესრულებულად მიწერილობის რამდენიმე პუნქტი, რაზედაც განმეორებით იქნა შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. როგორც ირკვევა, კომპანიამ უზრუნველყო მიწერილობით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება, რომელიც დადასტურდა 2025 წლის 2 ოქტომბერს განხორციელებული მიწერილობის პირობების გადამოწმებით. გზშ ანგარიშში (ცხრილი 5.1) განხილულია შემოწმებით გამოვლენილი დარღვევების და გამოსწორების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია. 1.3 პუნქტის მიხედვით ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 14 (თოთხმეტი) სამუშაო დღის ვადაში, კომპანიას ღია ცის ქვეშ განთავსებული საწარმოს ექსპლუატაციის დროს წარმოქმნილი წიდა უნდა დაესაწყობებინა დახურულ შენობაში, მობეტონებულ ადგილზე. ამავე ცხრილიდან ირკვევა, რომ კომპანიამ უზრუნველყო წიდის მობეტონებულ ბაქანზე გადატანა. თუმცა, გაუგებარია დახურულ სივრცეში მოხდა თუ არა სრულად წიდის განთავსება. ყველასთვის ცნობილია, რომ ღია სანაყაროებზე განთავსებული ნარჩენები მუდმივ პრობლემას წარმოადგენს ადგილობრივი მოსახლეობისთვის.

აღნიშნული საკითხი მეტად მნიშვნელოვანია, რადგან ჯერ კიდევ 2021 წელს, სოფ. არგვეთის მოსახლეობამ [განცხადებით](#) მიმართა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სადაც აღწერდნენ წიდის ღია საწყობებიდან გამოწვეულ პრობლემებზე და ითხოვდნენ დახმარებას. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, პრობლემა ისევ აქტუალურია და დაუყოვნებლივ რეაგირებას მოითხოვს. მოსახლეობა კვლავ უჩივის სანაყაროებიდან გამოწვეულ ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებას, განსაკუთრებით ქარიან და მშრალ ამინდებში. დოკუმენტში, ასევე, სათანადოდ არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია საწარმოო პროცესში გამოსაყენებელი წიდის ოდენობის შესახებ.

გარდა ამისა, როგორც ანგარიშიდან ირკვევა საწარმოს ტერიტორიაზე უკვე მოწყობილია წიდის სამსხვრევი დანადგარი, რომელიც განთავსებულია ფარდულის ტიპის შენობაში. ყურადსაღებია, რომ წიდის მსხვრევის პროცესში ჰაერი მნიშვნელოვნად ბინძურდება. მოსახლეობის სიახლოვის გათვალისწინებით, წარმოდგენილი ანგარიშიდან გაურკვეველია მოხდება თუ არა მისი დახურულ შენობაში განთავსება.

ასევე, გზშ ანგარიშში არ არის წარმოდგენილი არც ნარჩენი წიდის მოცულობები, არც დროებითი შენახვის რეჟიმი და არც მტვრის გაფანტვის შემცირების ღონისძიებები ღია ბაქნებზე.

4. დამხმარე პროცესების აღწერა

დოკუმენტის მიხედვით, საწარმოს ძირითადი ტექნოლოგიური პროცესები მიმდინარეობს გზშ ანგარიშში მოცემული ტექნოლოგიური სქემის შესაბამისად, თუმცა, დამხმარე პროცესები არ შეესაბამება (არ არის დაზუსტებული) გზშ ანგარიშში აღწერილ სქემას.

ანგარიშში მოხსენიებულია ავტომობილების სარემონტო ბოქსი, რომელიც საერთოდ არ არის აღწერილი ანგარიშში.

გზშ ანგარიში უნდა მოიცავდეს საქმიანობის ყველა კომპონენტს, მათ შორის დამხმარე ინფრასტრუქტურას და მასთან დაკავშირებული ყველა საქმიანობის შესახებ ინფორმაციას.

5. სალექარის ეფექტიანობა

როგორც დოკუმენტიდან ირკვევა, გამდიდრების ხაზზე მოწყობილია წყლის ბრუნვითი სისტემა. დაბინძურებული წლის გაწმენდა ხდება საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილ სალექარში. 6.4.2 ქვეთავში აღწერილია სალექარის არსებული მდგომარეობა: „სალექარი წარმოადგენს სამგანყოფილებიან ბეტონის ნაგებობას, თითოეული განყოფილების ზომებია 16×3,5×2,5. სალექარების მთლიანი მოცულობა 360 მ3-ია. გამდიდრების ხაზის წყლის მაქსიმალური საათური ხარჯი შეადგენს 50 მ3 -ს. სალექარის წყლის მოცულობის შესაბამისად, სალექარში წყლის დაყოვნების დრო 4 საათზე მეტია, შესაბამისად დალექვის ეფექტურობა იქნება არაუმცირეს 95 %. დასავლეთ მხარეს სალექარის ფსკერი დახრილია, რაც იძლევა სალექარიდან შლამის ავტოდამტვირთველით ამოღების საშუალებას. სალექარიდან ამოღებული შლამი იყრება წვრილმარცვლოვანი წიდის ბაქანზე, წვრილმარცვლოვან ღორღთან ერთად“. აქვე, თანდართულია სალექარის სურათი, რომელზეც ვკითხულობთ, რომ ამჟამად სალექარის სამივე განყოფილებაში ჩარჩენილ შლამზე ამოსულია ჭაობის ლერწამი. ჩნდება კითხვა: თუ საწარმოს მუშაობის პროცესში სალექარი აქტიურად გამოიყენება და შემდგომ მისი რეგულარული გასუფთავებაც ხდება, ვიზუალურად რატომ გამოიყურება ისე, თითქოს იგი დიდი ხნის განმავლობაში არ ყოფილა გამოყენებული?

6. მონიტორინგის გეგმა

ანგარიშში წარმოდგენილია კომპანიის მონიტორინგის (თვითმონიტორინგის) გეგმა. თუმცა, გეგმაში არ არის მკაფიოდ გაწერილი ნორმის გადაჭარბების შემთხვევაში კომპანიის მიერ განსახორციელებელი ქმედებების შესახებ ინფორმაცია.

7. დასკვნა

წარმოდგენილი გზშ ანგარიში ფორმალურად მოიცავს კოდექსით მოთხოვნილ ძირითად თავებს. არ უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მთავარ მიზანს - დაგეგმილი ცვლილებების რეალური, სრულყოფილი და ინტეგრირებულ გარემოსდაცვით შეფასებას.